

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება
N 126 1996 წლის 8 მაისი ქ.თბილისი**

**საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების პოლიტიკური
მოწესრიგების პროცესში მსოფლიოს ქვეყნების, საერთაშორისო
ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინაციის სრულყოფის
ღონისძიებათა შესახებ**

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში უკანასკნელ ხანს სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო გაერთიანების წევრი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რაც მათთან თანამშრომლობის, საერთო ძალისხმევის კოორდინაციის საკითხებს ახლებურად აყენებს.

საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში მსოფლიოს ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინაციის სრულყოფის მიზნით:

1. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შესაბამის უწყებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სტრუქტურების, პოლიტოლოგების, საერთაშორისო სამართლისა და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით შეიმუშავებს საჭირო საინფორმაციო-ანალიტიკურ მასალებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც განსახილველად წარმოუდგენს პრეზიდენტსა და ეროვნული უშიშროების საბჭოს.
2. დამტკიცდა კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- | | |
|-----------------|--|
| ი.მენაღარიშვილი | - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი,
საბჭოს ხელმძღვანელი; |
| თ.ნადარეიშვილი | - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმადლესი საბჭოს თავმჯდომარე,
ხელმძღვანელის მოადგილე; |
| ლ.ალექსიძე | - სახელმწიფო კანცელარიის მთავარი
სახელმწიფო მრჩეველი საერთაშორისო
სამართლის საკითხებში, ხელმძღვანელის
მოადგილე; |
| გ.ბურდული | - საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილე; |
| გ.გვაზავა | - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის |

დ.გვაძახია	<p>უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;</p> <p>- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;</p>
ზ.ერქვანია	<p>- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;</p>
ვ.ვაშაკიძე	<p>- საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი;</p>
გ.კალანდია ზ.ლომაშვილი	<p>- საქართველოს პარლამენტის წევრი;</p> <p>- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;</p>
ლ.მარშანია	<p>- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;</p>
ი.მაჭავარიანი	<p>- საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში;</p>
დ.ტყეშელაშვილი	<p>- საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარის მოადგილე;</p>
გ.ფაცაცია	<p>- საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "აფხაზეთის" თავმჯდომარე;</p>
ფ.ჩიხრაძე	<p>- საქართველოს პარლამენტის წევრი;</p>
ლ.ცაავა	<p>- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;</p>
გ.ჯაყელი	<p>- საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ვეტერანების საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.</p>

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი.მენაღარიშვილი) მიიღოს ქმედითი ზომები სამინისტროს სტრუქტურაში საინფორმაციო-ანალიტიკური და პროგნოზირების სამსახურის შესაქმნელად და მის ასამოქმედებლად.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ.იაკობიძე) გამოძებნოს აღნიშნული სამსახურის დაფინანსების წყაროები, ამასთან, გაითვალისწინოს სამსახურის მიერ ექსპერტებისა და სახელშეკრულებო ურთიერთობებისათვის საჭირო საფინანსო ხარჯების გამოყოფა.

5. განკრგულება გამოქვეყნდეს პრესაში.

6. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრს ი.მენაღარიშვილს.

ე.შევარდნაძე